პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №3

ქ. თბილისი 19.08.2015

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

საბა სარიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი, შპს „კომერციული პარტნიორები – საერთაშორისოს" დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
ლიანა ზამბახიძე - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, საბჭოს სხდომის მდივანი (შემდგომში-მდივანი);
ელგუჯა მელაძე - ა(ა)იპ – საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;
მაია ჩიხლაძე - ა(ა)იპ-საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის პრეზიდენტი; შპს „საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას" დირექტორის მოადგილე;
ნიკოლოზ ჩაჩხიანი - პროფესიული განათლების ექსპერტი, Chemonics International.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
თამარ აფრასიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
გიორგი მელიქაძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;
თამარ შენგელია - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი;
ელენე ვეკუა - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ქეთევან ბაბუნაშვილი - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი.

დაწესებულებების წარმომადგენლები:

გურამ როსტიაშვილი - შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ელიტის დირექტორი;
ნინო ბერძენიშვილი - შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ელიტის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი;
ეთერ ბრეგაძე - შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ელიტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
კონსტანტინე ჭარხალაშვილი - შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ელიტის ღონისძიებათა მოწყობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი;
ნათელა დოლიძე-მახარაშვილი - შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ხარების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
გარი ჩაფიძე - შპს საქართველოს ბიზნესისა და მედიცინის აკადემიის დირექტორი;
ეკა როჭიკაშვილი - შპს საქართველოს ბიზნესისა და მედიცინის აკადემიის ხარისხის სამსახურის მენეჯერი;
მაია თოიძე - სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ბლექსი"-ს წარმომადგენელი;

დავით მჭედლიშვილი - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღის" წარმომადგენელი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ავტორიზაციის ექსპერტები):
თამარ რემიშვილი,
თეა ლილუაშვილი,
მაია დანელია,
ეკატერინე გიგაშვილი,
თამარ ვალიშვილი,
თეა შაყულაშვილი,
მარინა გოგოლაძე.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 15:31 საათზე, შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - საბა სარიშვილი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ელიტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ხარების ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს ბიზნესისა და მედიცინის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ,,ბლექსისთვის" პროფესიული პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საზოგადოებროვ კოლეჯ ,,ახალი ტალღისთვის" პროფესიული პროგრამების დამატების საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ პირებს მიმართა დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა წარმოდგენილი. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ელიტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ავტორიზაციის ექსპერტმა - თამარ რემიშვილმა, მან ისაუბრა პროგრამების შესახებ და პროგრამაში არსებულ ხარვეზებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომლის განხორციელების უფლებასაც ითხოვდა დაწესებულება:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	ექთნის თანაშემწე	III	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	90
2	პრაქტიკოსი ექთანი	V	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	150
3	მასაჟისტი	III	მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	64
4	ფარმაცევტის თანაშემწე	V	ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120
5	კბილის ტექნიკოსი	III	კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	68
6	ბუღალტერი	III	ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია / ბუღალტერ-მოანგარიშე	30
7	ინფრმაციული ტექნოლოგი	III	ინფორაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
8	კორესპონდენტი	III	კორესპონდენტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30

9	ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი)	III	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	62
10	ღონისძიებათა მომწყობი	III	ღონისძიებათა მომწყობის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	57
11	სასტუმრო საქმისმწარმოებელი	III	სასტუმრო საქმისმწარმოებელის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	100
12	სარესტორნო საქმისმწარმოებელი	III	სარესტორნო საქმისმწარმოებელის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	88

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ელიტს ჰქონდა დირექტორის მიერ დამტკიცებული მესამე და მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. პროგრამები შედგენილი იყო თანმიმდევრული სტრუქტურით, პროგრამებითა და სილაბუსებით გაწერილი სწავლის შედეგები თანხვედრაში იყო პროფესიული სტანდარტებით დადგენილ სწავლის შედეგებთან. თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული იყო: პროგრამის სახელწოდება, განათლების საფეხური, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა კრედიტებში შესაბამისი საათების მითითებით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, დასაქმების სფერო, პროგრამის მიზანი და შედეგი, სწავლის შედეგების რუკა, სასწავლო გეგმა - კურსების ჩამონათვალი შესაბამისი კრედიტებით, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათებით, სწავლების მეთოდოლოგია, პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური, მატერიალური რესურსის და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესახებ, სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. სასწავლო პროგრამები შედგენილი იყო პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ერთვოდა სილაბუსები. სილაბუსებში განსაზღვრული იყო: პროგრამის დასახელება, განათლების საფეხური, სასწავლო კურსის დასახელება, კრედიტებისა და საათების რაოდენობა, სასწავლო კურსის ხელმძღვანელი, დაშვების წინაპირობა, სასწავლო კურსის მიზანი, სწავლის შედეგი კომპეტენციების ჩამონათვალით, სწავლების მეთოდოლოგია, პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, სასწავლო კურსის შინაარსი, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა.

აღსანიშნავია, რომ საგანმანთლებლო პროგრამების გრაფაში - პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა), თუმცა ამ სათაურის ქვეშ მოცემული იყო სწავლების მეთოდოლოგია და არ ჩანდა რას წარმოადგენდა ეს დატვირთვა სტუდენტისთვის, რაც შეუსაბამისობაში იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის №121/ნ ბრძანებასთან - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ (მუხლი 3); ინტერვიუს მეშვეობით დადგინდა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებს კარგად ჰქონდათ გააზრებული თუ რას წარმოადგენდა პროფესიული სტუდენტის დატვირთვა და ვიზიტის დროს დაწესებულებამ შეიტანა ცვლილება კურიკულუმისა და სილაბუსის ჩარჩო ფორმებში და საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ წესში, მუხლი 27. კერძოდ დაამატა ჩანაწერი:

„პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრება/სამუშაო ჯგუფში მუშაობას
- ლაბორატორიულ მეცადინეობას

- პრაქტიკულ მეცადინეობას
- დამოუკიდებელ მეცადინეობას
- საწარმოო პრაქტიკას
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას"

ამ ცვლილების ასახვა საგანამანთლებლო პროგრამებში დაწესებულებამ დაიწყო ვიზიტის პერიოდში.

აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულების იურსიტმა, ნინო ბერძენიშვილმა განმარტა, რომ პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა მოიცავდა ლექციაზე დასწრებას, პრაქტიკას და ა.შ. მისი მოსაზრებით, ასევე იყო ფორმულირებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის №121/ნ ბრძანებაში. აღნიშნული პროგრამაში პუნქტობრივად არ ყოფილა გაწერილი, თუმცა ვებ გვერდზე იდო, მაგრამ ექსპერტების მოსაზრებისამებრ პროგრამაშიც გაიწერა. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ეს სწავლის შედეგების მიღწევას ხელს არ უშლიდა.

1.2 კორესპონდენტის პროფესიული პროგრამა მოიცავდა სასწავლო პრაქტიკის კომპონენტს. პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ადგილად მითითებული იყო ტელეკომპანია „რიონი" და ყოველთვიური ჟურნალი „თვალსაზრისი." ტელეკომპანია „რიონთან" გაფორმებული მემორანდუმით ირკვეოდა, რომ პრაქტიკის განმახორციელებელი ვალდებული იყო უზრუნველეყო კორესპონდენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი საწარმოო პრაქტიკის შესაბამისად პრაქტიკული კომპონენტის გავლა. ტელეკომპანია რიონის წარმომადგენლთან ინტერვიუთი გაირკვა, რომ შესაძლებელი იყო კომპანიას დღის განმავლობაში 2 სტუდენტი მიეღო პრაქტიკაზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მხოლოდ ერთი პრაქტიკის ობიექტი არცერთ პროგრამას არ გააჩნდა. დაწესებულების სურვილი იყო, რომ საწარმოო პრაქტიკა ყოფილიყო კორესპონდენტზე და დამსაქმებლებთან მჭიდრო ურთიერთობაზე დაფუძნებული.

1.3 ყველა პროგრამაში არსებობდა გრაფა - პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, სადაც გვხვდებოდა შემდეგი სახის ჩანაწერი: მესამე საფეხურის პროფესიულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო ან მასთან გათანაბრებული განათლება, ხოლო მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლება. პროგრამაში მესამე საფეხურის სასტუმრო საქმისმწარმოებელი მისანიჭებელი კვალიფიკაციის გრაფაში ეწერა: სარესტორნო საქმისმწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. ბუღალტრის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მისანიჭებელი კვალიფიკაცია ჩამოყალიბებული იყო შემდეგნაირად: „ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია", შესაბამისი პროფესიული სტანდარტის მიხედვით ზემოთაღნიშნული ჩამოყალიბებული უნდა ყოფილიყო შემდეგნაირად- „ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ბუღალტერ-მოანგარიშე".

დაწესებულების იურისტმა განმარტა, რომ სილაბუსში არსებული ჩანაწერის საბაზო ან მასთან გათანაბრებული განათლების შესახებ იმ აბიტურიენტებისათვის იყო განკუთვნილი, ვისაც ზოგადი განათლება მიღებული ჰქონდათ საქართველოს ფარგლებს გარეთ. მან ასევე აღნიშნა, რომ ბუღალტერ-მოანგარიშის მისანიჭებელი კვალიფიკაციის სახელწოდება განსაზღვრული იყო სტანდარტითა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამისი ბრძანებით. მისი თქმით, სტანდარტში ფიქსირდებოდა - „ბუღალტერ-მოანგარიშე", საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამის ბრძანებაში კი „ბუღალტერი". აღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულება ხელმძღვანელობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის №121/ნ ბრძანებით.

1.4 სასტუმროს საქმისმწარმოებლის პროფესიულ პროგრამაში, მისაღწევ შედეგებში გაწერილი იყო, რომ პროფესიული სტუდენტი შეძლებდა საერთაშორისო კომპიუტერული პროგრამის „ფიდელიოს" გამოყენებას, თუმცა არც დაწესებულებას და არც საწარმოო

პრაქტიკის ობიექტებს არ გააჩნდათ საერთაშორისო დაჯავშნის პროგრამა. საწარმოო პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან ინტერვიუთი გაირკვა, რომ ისინი დაჯავშნისთვის იყენებდნენ ექსელის პროგრამას.

ინფორმაციული ტექნოლოგიის მესამე საფეხურის, ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის, კორესპონდენტის მესამე საფეხურის, ღონისძიებათა მომწყობის მესამე საფეხურის, ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროგრამებში გრაფაში - სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა ფიქსირდებოდა შემდეგი სახის ჩანაწერი: პროფესიულ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაცია, რაც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მთლიანი ციკლის დასრულებას, ხოლო პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროგრამას ასეთი გრაფა საერთოდ არ გააჩნდა.

სასტუმროს საქმისმწარმოებლის პროფესიულ პროგრამასთან დაკავშირებით დაწესებულების იურისტმა აღნიშნა, რომ ფიდელიოს პროგრამა ისწავლებოდა სასწავლო კურსით და არა პრაქტიკის კურსში. ქუთაისის არცერთ სასტუმროს აღნიშნული პროგრამა არ გააჩნდა მისი ღირებულებიდან გამომდინარე. ამიტომ სწავლება ვიდეოგაკვეთილებით მიმდინარეობდა. რაზეც ექსპერტმა განმარტა, რომ სტანდარტის მოთხოვნას წარმოადგენდა საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა და დაამატა, რომ დაწესებულებას, წარმოდგენილ მოცემულ საგანმანათლებლო პროგრამაში, ეწერა ელექტრონული პროგრამის ფლობის ვალდებულება.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წიგნით და ვიდეომასალით ელექტრონული პროგრამის სწავლა რთული წარმოსადგენი იყო.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სტუდენტები თავდაპირველად აითვისებდნენ თეორიულ კურსს, შემდეგ პრაქტიკისთვის ეტაპობრივად გადანაწილდებოდნენ თბილისში, ისეთ სასტუმროში რომელსაც ექნებოდა ზემოაღნიშნული პროგრამა. სასტუმროს დღის განმავლობაში 5-6 სტუდენტის მიღებას შეძლებდა.

საბჭოს წევრი, ლიანა ზამბახიძე, დაინტერესდა სტუდენტების თბილისში ტრანსპორტირებისა და ცხოვრების ხარჯებს ვინ უზრუნველუოფდა. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, აღნიშნული ხარჯები სწავლის საფასურში შევიდოდა. შესაბამისად, გაიზრდებოდა სწავლის ღირებულებაც. მან ასევე დაამატა, რომ პრაქტიკისთვის 1 თვე ივარაუდებოდა, თუმცა ამ ეტაპზე დაწესებულება აღნიშნულზე იყო ჩამოყალიბებული, შესაბამისად, არც ხარჯები იყო დათვლილი.

საბჭოს წევრი, ლიანა ზამბახიძე ექსპერტების მიერ გამოთქმული შენიშვნით დაინტერესდა, რამდენად იქნებოდა საკმარისი 1 თვიანი პრაქტიკული კურსი პროგრამის მიზნების განხორციელებისათვის. ექსპერტის თქმით, საკითხს დამატებითი შესწავლა სჭირდებოდა.

სხდომის თავმჯდომარის, საბა სარიშვილის მოსაზრებით პროგრამაზე მოსული პროფესიულ სტუდენტებს იმედები არ გამართლდებოდათ და ვერ მიიღებდნენ იმ ცოდნას, რაც პროგრამის მიზნებში იყო გაწერილი, რადგან დაწესებულების წარმომადგენლები ზოგადად საუბრობდნენ და პრაქტიკის საკითხი არ იყო კარგად მოფიქრებული და გათვლილი.

ოფისის მენეჯერისა და ბუღალტერის პრაქტიკის განხორციელებასთან დაკავშირებულ შეკითხვაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თანამშრომლობდნენ გადამზადების ცენტრთან, რაზეც ლიანა ზამბახიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული ცენტრი ვერ უზრუნველყოფდა პრაქტიკის სრულფასოვან განხორციელებას. საჭირო იყო დაწესებულებას ეთანამშრომლა კონკრეტულ კომპანიასთან.

პრაქტიკოსი ექთნის საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ტექნიკური შეცდომა იყო დაშვებული, რომელიც გამოსწორდა.

1.5 სარესტორნო საქმისმწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამის მოცულობა შეადგენდა 88 კრედიტს, აქედან 37 კრედიტი ეთმობოდა თეორიულ კომპონენტს,

ხოლო 51 კრედიტი - პრაქტიკულ კომპონენტს (სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის სილაბუსების მოცულობა ერთად შეადგენდა 51 კრედიტს). შესაბამისი პროფესიული სტანდარტის მიხედვით პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 60%, რაც ზემოთაღნიშნულ პროგრამაში არ სრულდებოდა. პროფესიული სტანდარტის მიხედვით, ზემოთაღნიშნულ პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტის მოცულობა უნდა ყოფილიყო მინიმუმ 52,8 კრედიტი;

1.6 შეფასების სისტემა იყო მრავალკომპონენტიანი და 100 ქულას შეადგენდა ჩანაწერის მიხედვით, თუმცა სარესტორნო საქმისმწარმოებლის 2 სასწავლო კურსის სილაბუსში - 1. კვების ობიექტის პრინციპები და ტექნიკური უზრუნველყოფა და 2. ტურიზმის საფუძვლები და სარესტორნო საქმე სასწავლო კურსების შეფასების კომპონენტებს შორის გადანაწილებული ქულათა ჯამი ერთ შემთხვევაში 85-ს , ხოლო მეორე შემთხვევაში 95 ქულას შეადგენდა.

1.7 მასაჟისტის პროფესიულ პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსის „სამასაჟო კაბინეტის ორგანიზება" სილაბუსში შეფასების მეთოდად მითითებული იყო 3 ხუთქულიანი სემინარი, თუმცა სასწავლო გეგმაში (თემატიკაში) არც ერთი სემინარი არ გვხვდებოდა.

1.8 დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ჰქონდა არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების წესი, რომლის 17-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მაძიებელს ენიჭებოდა შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემოდა შესაბამისი დოკუმენტი - დიპლომი, რაც შეუსაბამისობაში იყო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #8/ნ ბრძანებასთან „არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ."

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 კოლეჯში იყო საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო; ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის მიწოდების უწყვეტი სისტემა. ვიზიტის დროს გენერატორი (გაუთვალისწინებელი სიტუაციისათვის) ნანახი ვერ იქნა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათება ყველა სასწავლო ოთახში, შენობის გათბობა ხორციელდებოდა ცენტრალური გათბობის სისტემით. ვიზიტის დროს არ იქნა წარმოდგენილი გადახდის ქვითრები და ხელშეკრულებები შესაბამის კომპანიებთან .

2.2 დაწესებულებას შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე აყვანილი ჰყავდა ბიბლიოთეკარი, რომელსაც ბიბლიოთეკარად მუშაობის რამდენიმე წლიანი გამოცდილება მითითებული ჰქონდა CV-ში, თუმცა მის პირად საქმეში ვერ მოიძებნა დოკუმენტი რომელიც ადასტურებს ამ ფაქტს.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1. კოლეჯში დასაქმებული იყო 55 ადამიანი, მათ შორის 41 მასწავლებელი და 14 ადმინისტრაციის წევრი. მათთან გაფორმებული იყო შრომითი ხელშეკრულებები საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით. დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამებოდა მათ მიერ დაკავებულ თანამდებობას. გამონაკლისს წარმოადგენდა ბიბლიოთეკარი, რომლის კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობას, ვიზიტის პერიოდში ვერ მოხერხდა შრომითი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დასახელებულ პირს ჰქონდა გამოცდილება ბიბლიოთეკარად მუშაობისა, რაც რეზიუმეში იყო მითითებული. მისი თქმით, შრომის კოდექსი კვალიფიკაციის დადასტურების სხვა ფორმას არ ითვალისწინებდა.

3.2პროგრამის შემადგენელი კურსების განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია ზოგადად შეესაბამებოდა მოთხოვნებს. ვიზიტის პირველ დღეს ხუთ მასწავლებელს არ უდასტურდებოდა სამუშაო გამოცდილება, ვიზიტის პერიოდში

დაწესებულებამ წარმოადგინა ზემოთაღნიშნული მასწავებლების სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები და შრომის წიგნაკები.
ერთ-ერთი სასწვლო კურსის მასწავლებელს არ უდასტრდებოდა შესაბამისი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ იგი გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან და დანიშნა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი.

საბა სარიშვილი დაინტერესდა ინტერვიუების ჩატარების პრინციპით, რაზეც ექსპერტმა განმარტა, რომ შემთხვევითი შერჩევით მოხდა გასაუბრება იმ მასწავლებლებთან ვისთანაც არსებობდა გარკვეული ტიპის შეკითხვები.

საბჭოს წევრი, ლიანა ზამბახიძე, დაინტერესდა აღნიშნული უზუსტობების შესწორება ვიზიტის დროს განხორციელდა თუ ვიზიტის შემდეგ. ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ ვიზიტის შემდგომ მოხდა შესწორებები და დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი კორესპონდეცია ცენტრში.

საბჭოს წევრი, ლიანა ზამბახიძე დაინტერესდა კოლეჯ „იბერიასთან" გაფორმებული მემორანდუმით. კერძოდ, როგორ მოხდებოდა სტუდენტების მობილობა როდესაც „ელიტი" იყო კერძო სამართლის - ხოლო „იბერია" საჯარო სამართლის იურიდიული პირი. შესაბამისად, სტუდენტების ჩარიცხვა ხდებოდა ეროვნული გამოცდებით. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა ცენტრს მიმართა თხოვნით მოეწესრიგებინა მსგავსი შეუსაბამობა.

ექსპერტის თქმით, ყველა პროგრამისთვის არსებობდა პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, გარდა ზემოთ აღნიშნული სასტუმროს საქმისმწარმოებლის პროფესიული პროგრამისა.

საბჭომ ექსპერტების სთხოვა, განემარტათ აღნიშნული პროგრამები შედეგებზე გადიოდა თუ ვერა. ექსპერტის განმარტებით, მათ დასკვნაში ასახეს ის გარემოება რაც ვიზიტის დროს ნახეს.

დაწესებულების წარმომადგენლება, პროფესიული პროგრამების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 250-ით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ელიტისათვის ავტორიზაციისა და პროფესიული სტუდნეტების ზღვრული რაოდენობის 250-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: - 5
წინააღმდეგი: - 0
გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს ზოგადოებრივ კოლეჯ ელიტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 406129602) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250-ით.

თავმჯდომარემ ცენტრს მიმართა სასწავლო პროცესის დაწყებამდე გადამოწმებულიყო დაწესებულებაში სტანდარტების შესაბამისობა მონიტორინგის ვიზიტის საშუალებით, კერძოდ, შემოწმებულიყო სტანდარტების დაკმაყოფილება საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით.

2. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ხარების ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ავტორიზაციის ექსპერტებმა ეკატერინე გიგაშვილმა და მაია დანელიამ. მათ აღნიშნეს, რომ დასკვნაში არსებით ხარვეზები არ იყო წარმოდგენილი. ვიზიტის ფარგლებში მოხდა რიგი საკითხების დაზუსტება, გამორკვევა და დაწესებულების მხრიდან ადგილზე გასწორება.

1.საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1. ყველა სასწავლო კურსის მოცულობის ნაწილში და საათების კვირეულ განაწილებაში კრედიტით განსაზღვრული საათები გადანაწილებული იყო თეორიული ან/და პრაქტიკული მეცადინეობისთვის, შეფასებისთვის, დამოუკიდებელი მუშაობისთვის. ყველა სილაბუსში ლექტორის მონაცემებთან ერთად გვხდებოდა ცალკე ჩანაწერი: „კონსულტაციის დრო და ადგილი: საზოგადოებრივი კოლეჯი „ხარება", კვირაში 2 საათი", რომელიც სასწავლო კურსის მოცულობის ნაწილში და საათების კვირეულ განაწილებაში არ იყო გათვალისწინებული და დამატებით დროს გულისხმობდა. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესის მული-11, პუნქტი 12-ით განსაზღვრული სტუდენტთა შეფასება მოიცავდა გამოცდის ფორმატს მხოლოდ თეორიული კომპონენტისთვის, თუმცა სასწავლო კურსების სილაბუსებით, შეფასების ფორმატი თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს აფასებდა. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, დირექტორის მინდობილობით აღჭურვილ პირთან გასაუბრებისას გაზიარებული იქნა აღნიშნული უზუსტობა და ამ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში სათანადოდ განხორციელებული ცვლილება.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	ინფორმაციული ტექნოლოგი	III	ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	35
2	ექთნის თანაშემწე	III	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	90
3	ტუროპერატორი (აგრო, ეკო და ა.შ. ტუროპერატორი)	III	ტუროპერატორის (აგრო, ეკო და ა.შ. ტუროპერატორი) მესამე საფეხურის პროფესიული	60

			კვალიფიკაცია - ტურისტული მომსახურების დაჯავშნის სპეციალისტი	
4	პრაქტიკოსი ექთანი	V	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	150
5	ბანკის ოპერატორი	V	ბანკის ოპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120

2. ადამიანურ რესურსებთან მიმართებით:

2.1 ინფორმაციული ტექნოლოგის პროგრამის კომპიუტერული არქიტექტურის, კომპიუტერული ქსელების, სასწავლო პრაქტიკა - კომპიუტერულ ქსელების, სასწავლო პრაქტიკა - ოპერაციულ სისტემების, სასწავლო პრაქტიკა-კომპიუტერულ არქიტექტურის სასწავლო კურსების, მასწავლებლს, ტურიზმის პროგრამის სასწავლო პრაქტიკის მასწავლებლის, საბანკო სამართლის საფუძვლების მასწავლებლების პირად საქმეებში არ იყო კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, გეოგრაფიის მასწავლებელს არ ჰქონდა უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი. დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში შეავსო ორი პროგრამის მასწავლებლის პირადი საქმე, წარმოადგინა ერთი პროგრამის მასწავლებლის მიერ მიღებული განათლების აღიარებისთვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი და ტურიზმის პროგრამის სასწავლო პრაქტიკის, ტურიზმის მარშრუტის მოდელირების, საწარმოო პრაქტიკის მასწავლებლად დამატებით დანიშნა ერთი მასწავლებელი, რომელიც 2014 წლიდან იყო შპს „თრეველ გლობუსის" დირექტორი და ჰქონდა დაჯავშნის პროგრამის „ამადეუსის" კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლება, პროფესიული პროგრამების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 200-ით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ხარების ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: - 5
წინააღმდეგი: - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს ზოგადოებრივ კოლეჯ ხარებას (საიდენტიფიკაციო კოდი: 402004415) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.

3. შპს საქართველოს ბიზნესისა და მედიცინის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ვალიშვილმა. მან აღნიშნა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული იყო შემდეგი სახის შენიშვნები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 დაწესებულებაში შემუშავებული ჰქონდა 7 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ყველა პროგრამა დამტკიცებული იყო განსაზღვრული წესით უფლებამოსილი პირის – დირექტორის მიერ. თითოეულ პროგრამაში განსაზღვრული იყო პროგრამის სახელწოდება, საფეხური, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა, სწავლის ხანგრძლივობა, სწავლების ენა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, სფეროს აღწერა/ანოტაცია, მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლების და სწავლის მეთოდები, სწავლის შედეგების რუქა, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის და მატერიალური რესურსის შესახებ, დასაქმების სფერო და ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ. პროგრამა შედგენილი იყო პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, ჰქონდა თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, სასწავლო კურსების სილაბუსები. პროგრამები დამტკიცებული იყო შპს საქართველოს ბიზნესისა და მედიცინის აკადემიის დირექტორის 2014 წლის 11 ნოემბრის № 01/18 ბრძანებით. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამებიდან ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში შემოწმებულ იქნა ყველა მათგანი გარდა ბანკის ოპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა (ეს პროგრამა გაუქმებულია აკადემიის დირექტორის ბრძანების საფუძველზე). შესაბამისად, ექსპერტთა მიერ გადამოწმებულ იქნა შვიდი პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამები მოიცავდა ინფორმაციას პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობის შესახებ. პროგრამების სწავლის პერიოდი დაყოფილი იყო რამოდენიმე ეტაპად. ყოველი სასწავლო ეტაპი კვირების გარკვეულ რაოდენობას მოიცავდა, რომელიც თეორიული, პრაქტიკული და შეფასებისთვის განკუთვნილი სწავლის ეტაპისგან შედგებოდა.

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში პროგრამების შემოწმებისას გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები:

1.2 კრიმინალისტის მე -3 საფეხურის პროგრამა:

- კრიმინალისტის მე-3 საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობად მითითებული იყო საბაზო განათლება და გასაუბრება, რაც შეუსაბამობაში მოდიოდა კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) მე-3 საფეხურის პროფესიული სტანდარტის (060451) მოთხოვნებთან, კერძოდ, სტანდარტი აწესებს ასაკობრივ შეზღუდვას (16 წელი).
- სასწავლო კურსი „კრიმინალისტიკა" ისწავლებოდა 2 ეტაპად, კერძოდ კრიმინალისტიკა 1 და 2. ამასთან, ორივე ეტაპის სილაბუსებში სასწავლო კურსის თემატიკა

განსხვავებული იყო ხოლო მიზნები იდენტური, რაც გამორიცხავდა იდენტური მიზნების სისწორეს.

- სასწავლო კურსის „კრიმინალისტიკის" (1,2) მიზანს წარმოადგენდა „სტუდენტისთვის იმ ტექნიკური საშუალებების, ხერხებისა და ცალკეული დანაშაულებათა გამოძიების მეთოდების შესწავლა რასაც იყენებდნენ წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო ორგანოები დანაშაულის სწრაფი, სრული გახსნისა და თავიდან აცილების საქმეში". ასეთი მიზანი შინაარსობრივად შეუსაბამო იყო საქართველოს კანონმდებლობასთან კერძოდ, 2010 წლიდან აღარ არსებობს წინასწარი გამოძიება, ხოლო რაც შეეხება სასამართლოს- დანაშაულის გახსნა და თავიდან აცილება მისი მიზანი არასოდეს ყოფილა.
- სასწავლო პრაქტიკის სილაბუსის სწავლის შედეგები იდენტური იყო კრიმინალისტიკა 1-ის სწავლის შედეგებისა. ასევე აღსანიშნავია, რომ სასწავლო პრაქტიკა გულისხმობდა თეორიული ცოდნის საფუძველზე იმიტირებულ სამუშაო გარემოში პრაქტიკული უნარ-ჩვევის გამომუშავებას პედაგოგის დახმარებით ან/და მისი მეთვალყურეობის ქვეშ. სწორედ ამიტომ პრაქტიკის კომპონენტში კანონმდებლობა არ უშვებს დამოუკიდებელ სამუშაო საათებს, რაც შეეხება თეორიულ საკითხებს, ის სტუდენტს უკვე ნასწავლი ექნებოდა კრიმინალისტიკა 1-ში. ამდენად შეუძლებელი იყო მას ჰქონოდა თეორიული კურსის იდენტური შედეგები, ამასთან დაწესებულებას სასწავლო პრაქტიკის განსახორციელებლად, იმიტირებული სამუშაო გარემოს შესაქმნელად არ გააჩნდა რესურსი.

1.3 კრიმინალისტის მე-4 საფეხურის პროგრამა:

- კრიმინალისტის მე-4 საფეხურის პროგრამაზე სასწავლო კურსში „სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი)" - სავალდებულო ლიტერატურად მითითებული იყო „ოთარ გამყრელიძის სისხლის სამართლის პრობლემების მე-3 ტომი" რომელიც არანაირ კავშირში არ იყო პროცესთან და მოიცავდა მატერიალური სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის საკითხებს.
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არარსებობის გამო, ასევე შეუძლებელი იყო სასწავლო პრაქტიკის განხორციელება კრიმინალისტიკას, ტრასოლოგია დაქტილოსკოპიასა და კრიმინალისტიკურ ფოტოგრაფიასა და ვიდეოჩაწერაში.
- ხელშეკრულების თანახმად, სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გაივლიდნენ გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის კრიმინალისტიკურ ლაბორატორიაში. თავად მემორანდუმიდან იკითხებოდა რომ ის გაფორმებული იყო სასწავლო-პრაქტიკული კურსის გასავლელად, ინტერვიუირების პროცესში თავდაპირველად განმარტებული იქნა, რომ ის შეეხებოდა საწარმოო პრაქტიკას, შემდეგ განაცხადეს რომ აღნიშნული გავრცელდებოდა სასწავლო პრაქტიკაზეც. კითხვაზე, თუ როგორ გაატარებდა მათი პედაგოგი სწავლებას სხვა დაწესებულებაში, დაწესებულებამ განმარტა, რომ მემორანდუმი ითვალისწინებდა მხოლოდ საწარმოო პრაქტიკას. მე 3-4 საფეხურზე, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას ეთმობოდა მთლიანობაში 1300 საათი, ამასთან, პრაქტიკა გამორიცხავდა დამოუკიდებელ მუშაობას. ექსპერტებს ამ რაოდენობის საათის ათვისება სხვა ობიექტზე შეუძლებლად მიაჩნიათ.

1.4 კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსის მესამე და მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსის მესამე და მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა იდენტური იყო და შედგებოდა რამოდენიმე ეტაპისაგან. ყოველი ეტაპი კი - სასწავლო კვირებისგან. თეორიული კომპონენტის დასრულების შემდეგ გათვალისწინებული იყო შეფასება და საწარმო პრაქტიკა. სტრუქტურის შესაბამისად, პირველი ეტაპის სასწავლო კომპონენტი 15 კვირიანი იყო, რასაც მოყვებოდა შეფასებისთვის განსაზღვრული 4 კვირა, მეორე ეტაპზე ისევ 15 კვირა ეთმობოდა სასწავლო კომპონენტს, რასაც მოყვებოდა 4 კვირიანი შეფასების კომპონენტი და შემდეგ სასწავლო და საწარმო პრაქტიკის კომპონენტები.

პროგრამის მიხედვით სასწავლო პრაქტიკის ჩატარება იგეგმებოდა აკადემიის ბაზაზე, რაც სწავლის შედეგების მიღწევის თვალსაზრისით შეუძლებელი იქნებოდა მატერიალურ-

ტექნიკური რესურსის სიმცირის გამო (კომპიუტერული ლაბორატორია განთავსებული იყო მხოლოდ ერთ მცირე ზომის აუდიტორიაში, სადაც განლაგებული იყო 5 კომპიუტერი - 1 კომპიუტერი განკუთვნილი იყო 3 მოსწავლისათვის (5 სამკაციანი მერხი). საწარმო პრაქტიკის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი საწარმოსთან.

1.5 მეხუთე საფეხურის პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობას სავარაუდოდ წარმოადგენდა კრიმინალისტიკის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) მეოთხე საფეხურის პროფესიულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობას, რაც დასტურდებოდა პროგრამაში შემდეგი ჩანაწერით: „... აბიტურიენტი, რომელმაც გადალახა ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტისათვის გათვალისწინებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, მაგრამ ვერ მოხვდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებულ რანჟირების დოკუმენტში, უფლებამოსილია პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილების საფუძველზე ჩაირიცხოს კრიმინალისტიკის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) მეოთხე საფეხურის პროფესიულ პროგრამაზე“.
- ზოგიერთ სასწავლო კურსში ძირითად სახელმძღვანელოდ მითითებული იყო მოძველებული ლიტერატურა, რომლითაც შეუძლებელი იყო სასწავლო კურსის ათვისება. კერძოდ, ოფტალმოლოგიის ძირითად სახელმძღვნალოს წარმოადგენდა ოდინცოვის თვალის სნეულებანი, გამოშვების წელი - 1949.
- სასწავლო კურსის „ ეპიდემიოლოგია და ინფექციური დაავადებები“ სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურაში მითითებული იყო მხოლოდ ეპიდემიოლოგიის (ი.მჭედლიშვილი და სხვა ეპიდემიოიგია) და ჰიგიენის (ნ.ვეფხვაძე ჰიგიენა და სამედიცინო ეკოლოგია) სახელმძღვანელოები, შესაბამისად რეკომენდირებული წყაროები არ მოიცავენ ინფექციური დაავადებების საკითხებს.
- ვიზიტის დროს მოხდა აკადემიის ერთ-ერთი კორპუსის სახელად „პოლიკლინიკა“ დათვალიერება, სადაც სავარაუდოდ უნდა ჩატარებულიყო პრაქტიკოსი ექთნის და ექთნის თანაშემწის პროგრამით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები (სასწავლო პრაქტიკები). უნდა აღინიშნოს, რომ არსებულ კორპუსში არ იყო ამ პროგრამების წარმართვისათვის სასწავლო გარემო და შეუძლებელი ხდებოდა მის ბაზაზე პრაქტიკული კურსების ორგანიზება. სასწავლო აუდიტორიებს, სადაც განლაგებული იყო მერხები, სკამები, დაფები, გარედან ჰქონდათ ექიმ-სპეციალისტების აბრები („ნევროპოთოლოგი“, ენდოკრინოლოგი, ქირურგი და სხვა).

1.6 ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

- პროგრამით გათვალისწინებული იყო სამი სახის საწარმოო პრაქტიკა (ფარმაცევტულ ქიმიის, წამლის ფორმათა სააფთიაქო ტექნოლოგიის, წამლის ფორმათა საქარხნო ტექნოლოგიის). არსებობდა ხელშეკრულებები შპს გოგფარმასთან და შპს ნატუროფარმთან, სადაც შესაძლებელი იყო წამლის ფორმათა საქარხნო ტექნოლოგიისა და ფარმაცევტული ქიმიის პრაქტიკის (წარმოების ბაზაზე) დაგეგმვა. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ შპს გოგფარმას არ გააჩნდა შიდა სააფთიაქო დანამზადების განყოფილება, შესაბამისად ამ აფთიაქის ბაზაზე ვერ განხორციელდებოდა სააფთიაქო წამლის ტექნოლოგიური საწარმოო პრაქტიკის ორგანიზება-ჩატარება.
- პროგრამით გათვალისწინებული იყო სასწავლო პრაქტიკა ფარმაკოგნოზიაში. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ეს საგანი გულისხმობდა „საველე“ პრაქტიკულ მუშაობას, ჰერბარიუმების შეგროვება-დამზადებას და ა.შ. ამ სახის პრაქტიკული მუშაობები არ იყო ასახული სასწავლო კურსის სილაბუსში.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ვიზიტის პერიოდში გაუჩნდათ კითხვები პრაქტიკული კომპონენტის ჩატარებასთან დაკავშირებით. მათი თხოვნის მიუხედავად, კოლეჯის ადმინისტრაციამ ვერ უზრუნველყო პროფესიული პროგრამებისა და პრაქტიკების ხელმძღვანელებთან შეხვედრა-გასაუბრებები, გარდა ორი პროგრამის ხელმძღვანელისა.

1.7 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების ან შეცვლის შემთხვევაში, აკადემიის დებულების თანახმად, დაწესებულება ხელს შეუწყობდა პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას შემდეგი მექანიზმების გამოყენებით: სთავაზობდა პროფესიულ სტუდენტს ამავე დაწესებულებაში, სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლას შიდა მობილობის წესით ან სხვა დაწესებულებაში ანალოგიურ პროგრამაზე გადასვლას, თუმცა დაწესებულებას არ ჰქონდა გაფორმებული მემორანდუმები ანალოგიურ სასწავლებლებთან, რომლებიც ითვალისწინებდა სტუდენტების მობილობას პროგრამის გაუქმების/ შეცვლის შემთხვევაში.

2. მატერიალურ რესურსებთან მიმართებით:

2.1 ბიზნესისა და მედიცინის აკადემიას მფლობელობაში გააჩნდა სასწავლო ფართი უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ქ.რუსთავში, შევჩენკოს ქ.,5, კერძოდ: შენობა-ნაგებობები: N1 („პრეზიდიუმი") - საერთო ფართობი 106,79, N5 („პოლიკლინიკა") - საერთო ფართობი 122,64, N6 („ჩირაღდანი")-საერთო ფართობი 21,13 , N7 -საერთო ფართობი 162,34, ჯამში 412,9). უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტების მიერ ვერ დადასტურდა კორპუსი N6-ს (ე.წ. „ჩირაღდანი" - საერთო ფართობით 21,13 კვ.მ) სასწავლო მიზნებისთვის გამოყენება. შესაბამისად, საერთო ფართი, რომელიც გამოიყენება პროფესიული პროგრამების განსახორციელებლად. შეადგენს - 390,87 კვ.მ. აღნიშნულ მისამართზე მდებარეობდა ე.წ. „აკადემქალაქი" (შეღობილი ერთიანი ტერიტორია), სადაც განლაგებული იყო რამოდენიმე სხვადასხვა დანიშნულების კორპუსი თავისი სახელწოდებებით. მათი დანიშნულების გამიჯვნა სრულად ვერ მოხერხდა ექსპერტების მიერ. აღნიშნულ ტერიტორიაზე ამჟამად განთავსებული ქართულ-უკრაინული ინსტიტუტი, პოლიკლინიკა, რედაქცია, ვირტუალური ტელევიზია, სპორტული დარბაზი (სადაც კედელზე მოთავსებული სათამაშო სამიზნეები - ე.წ. დარტსი, სასწავლებლის დირექტორის განმარტებით გამოყენებულ იქნება კრიმინალისტის პროგრამის სასწავლო შედეგების მისაღწევად), მუზეუმი (რომელშიც არის განთავსებული სავარაუდოდ დაწყებითი სკოლაც და ქართულ-უკრაინული უნივერსიტეტიც), პროფესიული სწავლების ცენტრი. ექსპერტების სამუშაო ოთახი იყო განთავსებული კორპუსში სახელწოდებით „პრეზიდიუმი". ამ კორპუსში ასევე განლაგებულია ადმინისტრაციის ოთახი, დირექტორის კაბინეტი. აღსანიშნავია, რომ აუდიტორიების უმრავლესობაში გაკრულია პლაკატების სახით კოლეჯის დირექტორის, ბატონი გარი ჩაფიძის აფორიზმები.

2.2 გაურკვეველი იყო ვის ბალანსზე ირიცხებოდა არსებული ქონება (სასწავლო ინვენტარი, კომპიუტერები და სხვა). დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით დადგინდა შემდეგი: 2015 წლის 27 აპრილს შპს „არტაუდიტ კონსალტინგის" მიერ ჩატარდა შპს „ქ. რუსთავის საქართველოს-უკრაინის სოციალური ურთიერთობათა ინსტიტუტის" აუდიტორული შემოწმება, აღწერილ იქნა შპს „ქ.რუსთავის საქართველოს-უკრაინის სოციალური ურთიერთობათა ინსტიტუტის" არსებული ქონება (საოფისე ინვენტარი, კომპიუტერული ტექნიკა და სხვა), რომელიც ამავე მისამართზე მდებარეობს ქ.რუსთავი, შევჩენკოს ქ., 5. ქონების ღირებულებამ საერთო ჯამში 2015 წლის 27 აპრილის მდგომარეობით, შეადგინა 33 124, 72 ლარი. 2015 წლის 28 აპრილს შპს „ქ. რუსთავის საქართველოს-უკრაინის სოციალური ურთიერთობათა ინსტიტუტის" ერთადერთი დამფუძნებელი პარტნიორის - გარი ჩაფიძეს გადაწყვეტილებით შეტანილ იქნა შპს საქართველოს ბიზნესისა და მედიცინის აკადემიის კაპიტალში, 2015 წლის 28 აპრილს შპს „არტაუდიტ კონსალტინგის" მიერ შედგენილი აუდიტორული საექსპერტო დასკვნით განსაზღვრული 24 647,75 ლარის ღირებულების ინვენტარი, 33 124,72 ლარის ღირებულების კომპიუტერული ტექნიკა (რაც შეუსაბამობას წარმოადგენს და დაწესებულების იურისტის

ზეპირი განმარტებით - შეცდომაა). უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე ხელშეკრულება შესწორებულ იქნა ვიზიტის დროს, თუმცა ექსპერტებმა მაინც დააფიქსირეს ეს ცდომილება).

2.3 საწარმოო პრაქტიკის უზრუნველსაყოფად დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმები შემდეგ ბაზებთან: შპს გოგფარმა, შპს ნატუროფარმა, შპს „ატომ ელექტრონიქსი", შპს „მკურნალი 2002". ვიზიტის დროს გადამოწმებული ყველა პროფესიული პროგრამა მოითხოვდა სწავლის შედეგების მისაღწევად და პრაქტიკული კომპონენტის ეფექტური განხორციელების მიზნით სერიოზულ და სპეციფიკურ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას - თანამედროვედ აღჭურვილ კომპიუტერულ ლაბორატორიებს, ფარმაცევტული საქმიანობისათვის აუცილებელ ლაბორატორიულ გარემოს (ფარმაცევტული ქიმიის, ტოქსიკოლოგიური ქიმიის, ზოგადი ქიმიის, წამალთა ტექნოლოგიის ლაბორატორიებს), კრიმინალისტის უნარ-ჩვევების ასათვისებლად - სათანადო ვირტუალურ გარემოს, ექთნის პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისათვის - სიმულატორებს, მულიაჟებს და ა.შ. ამ რესურსის აუცილებლობა გამომდინარეობდა როგორც არსებული პროფესიული სტანდარტებიდან, ასევე კოლეჯში არსებული პროფესიული პროგრამებიდან, რადგან ყველა პროგრამა ითვალისწინებდა არა მარტო საწარმოო პრაქტიკის კურსებს, არამედ სასწავლო პრაქტიკებსაც (თითოეულ პროგრამაში არის რამოდენიმე სასწავლო პრაქტიკა). ეს აუცილებელი პირობა ასახული იყო დაწესებულების კლინიკის დებულებაშიც - კლინიკის ბაზაზე უნდა განხორციელებულიყო პროფესიულ საგნებში პროგრამების პრაქტიკული კომპონენტი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გაურკვეველია, თუ რომელი კლინიკა იგულისხმებოდა - რეალურად აკადემიას კლინიკა არ გააჩნდა. კორპუსს, სადაც უნდა ჩატარებულიყო საექთნო საქმის სასწავლო კურსები, ერქვა „პოლიკლინიკა". ვიზუალური დათვალიერებისას ექსპერტების მიერ ვერ იქნა ნანახი ზემოთაღნიშნული რესურსი. აქედან გამომდინარე, ექსპერტებს სრულიად შეუძლებლად მიაჩნდათ პრაქტიკული კომპონენტის ათვისება არსებული ბაზის პირობებში.

2.4 დაწესებულების კუთვნილებაში არსებულ სასწავლო კორპუსებში გათბობის სისტემა არ არსებობდა. დირექტორთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ საჭიროების შემთხვევაში დაწესებულების გათბობა შესაძლებელი იქნებოდა ელექტროღუმელებით. წარმოდგენილ იქნა 4 ელექტროღუმელის ნასყიდობის საბუთი. თუმცა გაურკვეველი დარჩა, თუ როგორ უნდა უზრუნველეყო ოთხ ელექტროღუმელს სამი ორსართულიანი კოპრუსის გათბობა.

2.5 ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების მფლობელობაში არსებული ლიტერატურა ძირითადად იყო მხატვრული შინაარსის. წიგნებზე ფიქსირდებოდა რამდენიმე დაწესებულების შტამპი, მათ შორის საქართველო-უკრაინის სოციალური ურთიერთობათა ინსტიტუტის შტამპიც.

2.6 ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები დაწესებულებას ინტეგრირებული ჰქონდა დაცვის სამსახურის მოვალეობებში, რომლის მიხედვითაც, ხანძრის ან სტიქიური მოვლენების შემთხვევაში დაცვის თანამშრომელი ვალდებული იყო დაუყოვნებლივ მოეხდინა ადმინისტრაციის ინფორმირება. ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი განთავსებული იყო თვალსაჩინო ადგილას. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა სამედიცინო პუნქტის დებულება, რომელიც დამტკიცებული იყო დირექტორის ბრძანებით. აღნიშნულ დებულებაში ზოგადი დებულებების სახით გაწერილი იყო სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. ადმინისტრაციასთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებაში არსებობს სამედიცინო პუნქტი, თუმცა ვიზუალური დათვალიერების შედეგად აღნიშნული ვერ დადასტურდა.

2.7 დაწესებულების უფლებამოსილმა წარმომადგენელმა დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით წარმოადგინა დირექტორის ბრძანება დაცვისა და უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ, რომლის მიხედვითაც დაცვის თანამშრომელი ვალდებული იყო გამოცხადებულიყო სამსახურში დილის 08-00 საათიდან სამუშაო დღის

ბოლომდე. მას ასევე უნდა განეხორციელებინა შენობისა და ტერიტორიის კონტროლი, ხანძრის ან სტიქიური მოვლენების შემთხვევაში ინფორმაცია მიეწოდებინა ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის. ექსპერტთა ვიზიტის მანძილზე დაცვის თანამშრომელი შენობაში არ იმყოფებოდა. აღნიშნულთან დაკავშირებით, კანცელარიის უფროსმა განაცხადა, რომ ის მიმდებარე ტერიტორიაზე ცხოვრობდა და საჭიროების შემთხვევაში გამოიძახებენ. ეს თავისთავად არღვევდა დაცვისა და უსაფრთხოების წესით განსაზღვრულ პირობებს. ვიზიტის დასასრულ, დირექტორმა წარმოადგინა დაცვის თანამშრომელი, რომელიც მისივე თქმით ახლოს ცხოვრობს და საჭიროების შემთხვევაში დაიცავს უსაფრთხოებას.

2.8 დირექტორმა ასევე წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოს უფროსისადმი შემდგომი რეაგირებისათვის შპს „საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის 2013 წლის 7 მარტის , #1/1157, # 1/1158 ხელშეკრულებები ასლებთან ერთად. 2013 წლის 01 მარტის გამოკვლევის აქტი და 2013 წლის 13 მარტის მიღება-ჩაბარების აქტები. წარმოდგენილი დოკუმენტაცია, როგორც სხვა შემთხვევაში, განკუთვნილი იყო შპს „საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტისათვის და არანაირად არ ეკუთვნოდა ავტორიზაციის მაძიებელ დაწესებულებას. გარდა ამისა, ხელშეკრულებებში დამკვეთი - შპს „საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტი - დაცვას უხდიდა ყოველთვიურად გაწეული სერვისისთვის 50 ლარს. ამასთან დაკავშირებით დაწესებულების მიერ წარმოდგენილია დაცვის მომსახურებისთვის გადახდის მხოლოდ ერთი ქვითარი, 200 ლარი გადახდილი იყო 2014 წლის 15 ნოემბერს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ანგარიშზე.

2.9 დაწესებულებას გააჩნდა რამდენიმე მცირე ზომის კორპუსი. შენობას ჰქონდა მიშენებული პანდუსი, თუმცა, გარდა შესასვლელისა სსსმ პირს შენობის შიგნით გადაადგილება, სველი წერტილით სარგებლობა ეზღუდებოდათ, რადგან არ არსებობდა მათთვის სართულიდან სართულზე გადაადგილების არანაირი საშუალება კიბის უჯრედის სივიწროვისა და დახრილობის გამო. გარდა ამისა, სველი წერტილში სივიწროვისა და სანიტარულ წერტილამდე საფეხურის გავლის გარეშე შეუძლებელი იყო გადაადგილება. კორპუსში სახელწოდებით „პოლიკლინიკა" საერთოდ არ ფიქსირდებოდა პანდუსები. სასწავლებლის დირექტორის განმარტებით, ამ შემთხვევაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებს ჩაუტარდებოდათ პრაქტიკული მეცადინეობები სხვა კორპუსში.

2.10 დაწესებულების ვებგვერდი ასრულებდა საკომუნიკაციო საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებული იყო როგორც საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ვებგვერდზე განთავსებული ფაკულტეტების ველებში განთავსებული იყო ინფორმაცია ფაკულტეტის ადამიანური რესურსისა და პროგრამების შესახებ. ინფორმაცია კლინიკის შესახებ არ იყო განთავსებული, ბიბლიოთეკის ველში შესაძლებელი იყო ელექტრონული საძიებო სისტემის გამოყენება და წიგნის მოძიება. ინფორმაციის განახლება მოხდა ვიზიტის დღეს. სხვა ტიპის ინფორმაციის განახლების ინტენსივობა ვერ დასტურდებოდა.

2.11 ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ერთწლიანი და ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების 2014-2020 წ.წ. ვრცელი გეგმა, რომელიც დამტკიცებული იყო დირექტორის ბრძანებით და განსაზღვრავდა გრძელვადიან მიზნებს, ამ მიზნების შესასრულებელ აქტივობებს, პასუხისმგებელ სტრუქტურებს, ინდიკატორებსა და გადამოწმების საშუალებებს, ასევე რისკებსა და ვარაუდებს. აღსანიშნავია, რომ ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა იყო ცალკე დოკუმენტი, რომელშიც ვადები გაწერილი იყო მხოლოდ 2014-2015 წლებზე, ხოლო დოკუმენტი ერთწლიანი სტრატეგიული განვითარების 2014-205 წწ. გეგმა ასევე მოიცავდა 2014-2015 წლების განსახორციელებელ საქმიანობებს და რამდენადმე იმეორებდა გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის პუნქტებს. გარდა ამისა, ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში უნდა წარმოედგინათ 2015-16 წლების ერთწლიანი გეგმა, ნაცვლად 2014-15 წლისა. სტრატეგიული განვითარების როგორც

მოკლევადიანი ასევე გრძელვადიანი გეგმა ორიენტირებული იყო მატერიალური რესურსები გაუმჯობესებასა და მათ ეფექტურად გამოყენებაზე.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 პერსონალის კვალიფიკაციის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. კერძოდ, დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა ექიმთან, რომელსაც გააჩნდა დიპლომირებული სტომატოლოგის კვალიფიკაცია და არ უდასტურდებოდა საექიმო საქმიანობის დამადასტურებელი სამედიცინო ლიცენზიის ფლობა. მასთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულების 1.3. პუნქტის მიხედვით, დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება დაიწყებოდა ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე, ხელშეკრულება ხელმოწერილი იყო ორივე მხარის მიერ და ძალაში შევიდა 2014 წლის 2 აპრილიდან.

აკადემიის დებულების მიხედვით, აკადემიის სტრუქტურულ ერთეულებში შედის - ადმინისტრაციული, აკადემიური და დამხმარე თანამდებობები (თავი 2; მუხლი 9; პუნქტი 9.1). ამავე მუხლში, პუნქტში 9.4 - აღნიშნული იყო, რომ აკადემიურ პერსონალს მიეკუთვნებოდნენ მასწავლებლები. ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტებს ხშირად უჭირდათ გამიჯვნა ერთი მისამართის ქვეშ არსებული ბაგა-ბაღის, სკოლის, აკადემიის, ინსტიტუტის, და ასე შემდეგ რესურსების. წინამდებარე დებულების თანახმად, მუხლი 13 - კოლეჯში მდებარეობდა ფაკულტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობდა დეკანი (მუხლი 16) (დებულებაში გაწერილი იყო მისი ფუნქციებიც). რეალურად, ექსპერტებმა ვერ დააფიქსირეს დეკანის დანიშვნის ბრძანებები. აკადემიის იურისტის განმარტებით, არსებობდა სპეციალობის მენეჯერები, რომლებიც ასრულებდნენ დაახლოებით იმავე ფუნქციებს. მისი განმარტებით ამ შემთხვევაში თანამდებობის დასახელებას მნიშვნელობა არ ჰქონდა.

3.2 სასწავლებლის პედაგოგების კვალიფიკაცია სრულად არ შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობებს. აკადემიის დებულების (თავი III, მუხლი 27, პუნქტი 4) თანახმად (დანართი №3) მასწავლებელი შეიძლებოდა ყოფილიყო უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელსაც გააჩნდა შესაბამისი პროფესიით მუშაობის გამოცდილება. კერძოდ,

- პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული პროგრამის საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი იყო ზვიად მანჯავიძე. კადრების აღრიცხვის ფურცელში აღნიშნული იყო, რომ იგი მუშაობდა მეან-გინეკოლოგად 2002-2012 წლებში, თუმცა პირად საქმეში ვერ იქნა ნანახი მეან-გინეკოლოგად მუშაობის და შესაბამისი საექიმო ლიცენზიის დამადასტურებელი საბუთები. მას არ დააჩნდა გამოცდილება ექთნის საქმის წარმართვისა. როგორც ცნობილია, აუცილებელია პროფესიული პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტს ხელმძღვანელობდეს იმავე პროფესიით მომუშავე პირი - ამ შემთხვევაში პროფესიული გამოცდილების მქონე ექთანი. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ამ სპეციალობის საწარმოო პრაქტიკა არსებული ხელშეკრულების მიხედვით უნდა ჩატარებულიყო ქალაქ თბილისში შპს „მკურნალი 2002"-ში, ზვიად მანჯავიძე კი არ მუშაობდა ამ დაწესებულებაში. საბუთების მიხედვით იგი დასაქმებული იყო ქალაქ რუსთავის სამშობიარო სახლში.
- იმავე პროგრამის მასწავლებელი მადონა სვანიძე - კვალიფიკაციის მიხედვით იყო ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებელი, მაგრამ ასწავლდა შემდეგ საგნებს: ციტოლოგია, ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია; მიკრობიოლოგია, იმუნოლოგია, ვირუსოლოგია;
- პატარიძე ნათელა - კვალიფიკაციით მეან-გინეკოლოგი; პირად საქმეში ვერ მოიძებნა სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, დაწესებულებაში ასწავლიდა ინფექციურ დაავადებებს, ფიზიოთერაპია კურორტოლოგიას, პათოლოგიურ ანატომიას;
- ცისკარიშვილი ქეთევანი - ასწავლიდა საგანს „შინაგანი მედიცინა", თუმცა პირად საქმეში არ ფიქსირდებოდა შესაბამისი საექიმო სერტიფიკატი და არ იკვეთებოდა თუ რა სამუშაო გამოცდილება გააჩნდა ამ პიროვნებას;
- ჩხეიძე თამარი - უძღვებოდა 5 სასწავლო კურსს, მათ შორის, ონკოლოგია და პალიატიური მზრუნველობა - ასევე არ უდასტურდებოდა შესაბამისი კვალიფიკაცია; პირად

საქმეში არ იძებნებოდა სამუშაო გამოცდილებისა და საექიმო ლიცენზიის დამადასტურებელი საბუთები.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების ადმინისტრაციამ გასაუბრების მიზნით ვერ უზრუნველყო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დაწესებულებაში მოწვევა, საზაფხულო პერიოდის გამო. კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსის პროგრამის ხელმძღვანელთან შედგა სატელეფონო გასაუბრება სასწავლო და საწარმო პრაქტიკის განხორციელებასთან დაკავშირებით.

3.3 აკადემიის შინაგანაწესის მიხედვით (დამტკიცებული 2014 წლის 3.04, #0113 დირექტორის ბრძანებით), მუხლი 2, თანამშრომელთა მიღების, სხვა სამუშაოზე გადაყვანისა და დათხოვნის წესი „ბ პუნქტი - სამუშაოზე მიღებისას პირმა უნდა წარმოადგინოს - განათლებისა და კვალიფიკაციის, სპეციალური ცოდნის ან მომზადების/გადამზადების დამადასტურებელი დოკუმენტი (შესაბამისი სერტიფიკატებით). უმეტესობა პირადი საქმეების არ შეიცავდა ზემოჩამოთვლილ საბუთებს.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ ფარმაცევტის საწარმოო პრაქტიკის ობიექტით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პრაქტიკის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა, რადგან იმ კომპანიას, რომელთანაც გაფორმებული იყო მემორანდუმი, შესაბამისი ბაზა არ გააჩნდა. თანაც, საწარმოო პრაქტიკა იქნებოდა არა კლინიკაში, არამედ პოლიკლინიკაში. ექსპერტმა ასევე დაამატა, რომ დაცვის თანამშრომელი რეალურად მეზობელი იყო და საჭიროების შემთხვევაში მიდიოდა დაწესებულებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისი აზრით, ექსპერტები წინააღდეგნი იყვნენ იმისა, რომ დაწესებულებას მინიჭებოდა ავტორიზაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სწავლება მიმდინარეობდა ახალაშენებულ კორპუსებში. დაწესებულების წარმომადგენლება მსოფლიოში პირველად შექმნეს თვითმფრინავის ფორმის საბავშვო ბაღი და ასობგერების ფორმის მერხები, გახსნილი ჰქონდათ მკვდარი ზღვის მარილის ხელოვნური გამოქვაბული - სანკტ-პეტერბუგრის შემდეგ პირველად საქართველოში. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ამ ინოვაციებს, რატომღაც, ექსპერტები არ აღნიშნავდნენ. მან განაცხადა, რომ შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს, დაუსაბუთებელი იყო ექსპერტების პოზიცია და დაამატა, რომ მთავარი ფოკუსი სტუდენტზე კეთდებოდა.

უსაფრთხოების საკითხთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გარემო შესაბამისი იყო. შესასვლელში სტუდენტს უნდა წარმოედგინა საშვი ან სტუდბილეთი. შენობას საღამოობით ყოფილი სკოლის დირექტორი, მოპირდაპირე მხარეს მცხოვრები მამაკაცი უვლიდა, დღისით კი - დაცვის თანამშრომლები.

დაწესებულების წარმომადგენლისთვის გაუგებარი იყო, რატომ არ აღნიშნავდნენ ექსპერტები იმ ინოვაციებს, რაც კოლეჯს ჰქონდა და რატომ შეაფასეს უარყოფითად ის ფაქტი, რომ მთელ შენობაში კოლეჯის დირექტორის აფორიზმები იყო გამოკრული. მან აღნიშნა, რომ დასკვნის 90% არ შეესაბამებოდა რეალურ მდგომარეობას - დასკვნის მიხედვით, დაწესებულებას ჰქონდა 5 კომპიუტერი, სინამდვილეში ასევე არსებობდა 10 ნოუთბუქი, რაც არ იყო დაფიქსირებული დასკვნაში.

ლიტერატურასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დასკვნაში დასახელებული ლიტერატურა (ოთარ გამყრელიძის სისხლის სამართლის პრობლემების მე-3 ტომი) საერთოდ არ ჰქონდათ მითითებული სილაბუსში.

კრიმინალისტიკა 1-სა და კრიმინალისტიკა 2-ს შორის დაფიქსირებულ იდენტურ მიზნებთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ ფაქტობრივად, ერთი საგანი იყო, შესაბამისად, მიზნებიც საერთო იქნებოდა.

საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ მეთოდი, რასაც იყენებდა დაწესებულება დანაშაულებისა და გამოძიების შესწავლისთვის, ძალიან მოძველებული იყო და შედეგზე ვერ გაიყვანდა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული ჩანაწერი ლექტორის მიერ იქნა გაკეთებული.

კრიმინალისტიკის წინაპირობასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაში არ იყო მითითებული ასაკობრივი ზღვარი და პროგრამაზე მიღების წინაპირობას წარმოადგენდა საბაზო განათლება და გასაუბრება.

ამასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელს საბჭოს წევრებმა განუმარტეს, რომ რადგან სტანდარტი აწესებდა ასაკობრივ ზღვარს, ეს მოთხოვნა დაცული უნდა ყოფილიყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტებს არ უნახავთ პრაქტიკის ობიექტები, რაზეც ექსპერტებმა განაცხადეს, რომ საწარმოო პრაქტიკის განხორციელების შესაძლებლობაში ეჭვი არ შეჰქონდათ, მაგრამ 1300 საათის (8 თვე) ჩატარება არარეალური იქნებოდა. თუ სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას სტუდენტები გაივლიდნენ ერთ დაწესებულებაში და საათების ამ რაოდენობით, გამოდიოდა, რომ სტუდენტები სულ პრაქტიკებზე იქნებოდნენ. აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ იგულისხმებოდა ორი პროგრამის საათები.

18:06 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა ელგუჯა მელაძემ.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, რა რესურსი ჰქონდა დაწესებულებას ადგილზე. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ჰქონდათ ტირი - მიზანში სროლისთვის. მან აღნიშნა, რომ ექსპერტები არ დაინტერესდნენ საწარმოებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ „როკფარმა", რომელთანაც გაფორმებული იყო მემორანდუმი, იყო აფთიაქი, სადაც ფსიქოტროპული წამლები იყიდებოდა და არ წარმოადგენდა საწარმოს, „ნატურფარმა" კი ამზადებდა მცენარეულ პრეპარატებს. მან ასევე მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით დაამატა, რომ როდესაც დაწესებულების წარმომადგენლებს კითხვით მიმართავდნენ, ისინი საუბარს იწყებდნენ ბაღისა და სკოლის თემით და არ იყვნენ ორიენტირებულები კოლეჯთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხის გაცემისთვის.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, რა მექანიზმები არსებობდა პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის სწავლის გაგრძელების უზრუნველსაყოფად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი პროფესიულ სტუდენტებს სთავაზობდნენ იმავე დაწესებულების სხვა პროგრამაზე ან სხვა დაწესებულებაში გადასვლას. მან ასევე აღნიშნა, რომ მსგავსი შემთხვევა არ დაფიქსირებულა, შესაბამისად, როდესაც კოლეჯი ამ ფაქტობრივი გარემოების წინაშე აღმოჩდებოდა, მაშინ მიიღებდა შესაბამის ზომებს.

მატერიალურ რესურსებთან მიმართებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ორ შენობაში იყო ცენტრალური გათბობის სისტემა. ერთ შენობაში კი 4 აუდიტორია - 4 ღუმელით აღჭურვილი, რაზეც ექსპერტებმა განაცხადეს, რომ ცენტრალური გათბობის სისტემა არ უნახავთ ვიზიტის დროს.

18:20 წუთზე საბჭოს შემოუერთდა ელგუჯა მელაძე.

დაწესებულების წარმომადგენელმა სტრატეგიულ გეგმასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გაწერილი იგი იყო ყოველ წელზე, რაც ექსპერტმა დააზუსტა, რომ გრძელვადიანი გეგმის ძირითად პუნქტებში 2014-2015 წლები იყო მითითებული, რასაც დაწესებულების წარმომადგენელი არ დაეთანხმა. მან ჩამოთვალა სტრატეგიული გეგმის პუნქტები და განმარტა, რომ ზემოაღნიშნული ავტორიზაციის მომზადებისთვის საჭირო საკითხებს წარმოადგენდა. იგეგმებოდა ბიბლიოთეკის გადახალისება, საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში ჩართვა, მატერიალური ბაზის გაუმჯობესება, საერთო საცხოვრებლის აშენება 2018 წლისთვის და ა.შ.

ადამიანურ რესურსებთან მიმართებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მხოლოდ 4 თანამშრომელს არ ჰქონდა დოკუმენტაცია სრულად წარმოდგენილი. მან დაამატა, რომ სერტიფიკატები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ასახული იყო პირად საქმეში. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა,

რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში ჩართული იყო საგანმანათლებლო საქმიანობაში, ლექციებს კითხულობდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და უკრაინაში.

18:40 საათზე საბჭოს სხომაზე შესვენება გამოცხადდა.
სხდომა განახლდა 19:47 საათზე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ბიზნესისა და მედიცინის აკადემიისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღდეგი -5

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს ბიზნესისა და მედიცინის აკადემიას (ს/კ: 406115706) უარი ეთქვას ავტორიზაციზე.

4. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ბლექსისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ მათ მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა მარინა გოგოლაძემ. მან განაცხადა, რომ დასკვნაში არსებითი ხარვეზები არ იყო დაფიქსირებული, თუმცა კოლეჯის მეორე სართულზე არ იყო სველი წერტილები. მან აქვე დაამატა, რომ დაწესებულებას ქალაქის მუნიციპალიტეტისაგან ახალი შენობა ჰქონდა გადაცემული, რომელშიც უმოკლეს პერიოდში განთავსდებოდნენ. ექსპერტმა ასევე დაამატა, რომ მეორე შენიშვნა ეხებოდა სტრატეგიული განვითარების გეგმას, რადგან დოკუმენტში წარმოდგენილი არ იყო აქტივობის შესრულების ვადები.

საბჭოს წევრი, ელგუჯა მელაძე დაინტერესდა იყო თუ არა გათვალისწინებული სურსათის უვნებლობის საკითხები, რადგან ეს უკანასკნელი წარმოდგენილ საგანმანათებლო პროგრამასთან პირდაპირ კავშირში იყო. შესაბამისად, საჭირო იქნებოდა სურსათის უვნებლობაზე სპეციალური რეგისტრაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კოლეჯი ახორციელებდა მეორე საფეხურის მზარეულის პროფესიულ პროგრამას, შესაბამისად, ერთი წელი იყო უკვე, რაც სანიტარული ნორმების მოთხოვნებს იცავდნენ. სურსათის უვნებლობის სამსახურმა მოითხოვა იმის დადასტურება, რომ კოლეჯს ჰყავდა კადრები ჰიგიენის უზრუნველყოფის მიზნით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ ორგანიზება გაუწიეს ტრენინგ კურსს, შესაბამისად ქალაქის მასშტაბით 4 ჯგუფი მოამზადეს. ამჟამად სხვადასხვა დაწესებულებისთვის ამზადებდნენ კადრებს.

საბჭოს წევრმა, ელგუჯა მელაძემ იკითხა კანონით მოთხოვნილი ASAP თუ ჰქონდა დაწესებულებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამ კუთხით შემოწმება არ განხორციელებულა და ეს მოთხოვნები ჯერ არ იყო წაყენებული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ.

ელგუჯა მელაძემ ცენტრს მიმართა რეკომენდაციით, სტანდარტებში ჩადებულიყო ASAP.

საბჭოს წევრმა, მაია ჩიხლაძემ განაცხადა, რომ სველი წერტილების განთავსება ყველა სართულზე იყო აუცილებელი.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ბლექსისთვის" მზარეულის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ბლექსის“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 245610398) მიენიჭოს უფლებამოსილება, დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
მზარეული	III	მზარეულის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (010463)	45

5. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ მათ მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა მარინა გოგოლაძემ. მან აღნიშნა, რომ ხარვეზები არ დაფიქსირებულა, ერთადერთი შენიშვნა იყო სტრატეგიულ გეგმასთან დაკავშირებით. კერძოდ, სტრატეგიულ გეგმას ამტკიცებდა სამეთვალყურეო საბჭო, მაგრამ ცვლილებები დირექტორის ბრძანებით შედიოდა ძალაში.

ამასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამეთვალყურეო საბჭოს 3 წევრს სამინისტრო ამტკიცებდა. მათგან ერთ-ერთს არ ჰქონდა სრული დოკუმენტაცია და ერთი წევრი ხელახლა იყო ასარჩევი. შესაბამისად, რადგან საბჭო არ იყო სრული შემადგენლობით, დირექტორმა დაამტკიცა მთელი რიგი დოკუმენტები, რისი უფლებამოსილებაც წესდების მიხედვით მას გააჩნდა. სტრატეგიულ გეგმასთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ ერთწლიანი გეგმა დეტალურად ჰქონდათ გაწერილი. მიუხედავად იმისა, რომ ექვსწლიან გეგმაში კონკრეტული საკითხების გაწერა და ვადების წინასწარ დადგენა რთული იყო. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, უახლოეს პერიოდში ISO სერტიფიცირებას აპირებდნენ. კოლეჯი ჩართული იყო EFQM პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ვალიდაციის პროცესში.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღისთვის“ ფერმერის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღისთვის“ მეგობათქაშის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალ ტალღას“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 246954620) მიენიჭოს უფლებამოსილება, დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
ფერმერი	IV	ფერმერის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (020364)	118
მებათქაშე	III	მებათქაშის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (040653)	45

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭო დახურულად გამოცხადდა 20:33 საათზე.

თავმჯდომარე
საბა სარიშვილი

მდივანი
ლიანა ზამბახიძე